# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## დადგენილება № 10-51

"6" მაისი 2022 წ

ქ. თბილისი

**„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1**

შეტანილ იქნეს ცვლილება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 20/03/2019, სარეგისტრაციო კოდი: 330090020.35.101.016587) და დადგენილების:

1. პირველი მუხლის „ა“ პუნქტით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი – რუკა (დანართი №1)" ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (თან ერთვის ცვლილების საინფორმაციო მასალა);

2. პირველი მუხლის „ა“ პუნქტის „ა.თ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკა (დანართი №1.8)" ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით;

3. პირველი მუხლის „ბ“ პუნქტით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექსტური ნაწილის“ (დანართი N2) 72-ე მუხლის მე-4 პუნქტის:

**ა) „გ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„გ) ელიავას ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია:**

დანართი 1.11-ით (შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკა) განსაზღვრულ არეალზე სამშენებლოდ განვითარება დასაშვებია:

ა) თემატურ რუკაზე მონიშნულ „A1“ ტერიტორიაზე განვითარება დასაშვებია ერთიანი ხედვის ფარგლებში დამუშავებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად;

ბ) თემატურ რუკაზე მონიშნულ „A“ ტერიტორიაზე განვითარება დასაშვებია მხოლოდ განაშენიანების რეგულირების გეგმების შესაბამისად; ასევე, დასაშვებია დროებითი შენობა-ნაგებობის განთავსება, მუნიციპალიტეტის მოთხოვნის შემთხვევაში დემონტაჟის განხორციელების პირობით.

გ) გარდა „A1“ (ერთიანი განაშენიანების რეგულირების გეგმის) და „A“ (განაშენიანების რეგულირების გეგმების) ტერიტორიებისა სამშენებლოდ განვითარება დასაშვებია მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით განსაზღვრული ფუნქციური ზონირების ან/და ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტის შესაბამისად.

**ზ) „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„ვ) ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორია:**

დანართი 1.11-ით (შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკა) განსაზღვრულ არეალზე:

ა) „A“ არეალზე სამშენებლოდ განვითარება დასაშვებია განაშენიანების რეგულირების გეგმებით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

ა.ა) ტერიტორიის სამშენებლო განვითარება განხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განსაზღვრული არეალების ფარგლებში, სარეკრეაციო ზონა 2-ისა (რზ-2) ან/და სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) რეგლამენტების შესაბამისად;

ა.ბ)ლისის ტბის გარემოსდაცვითი და ქალაქმშენებლობითი კვლევით დადგენილ ხევის არეალში, სამშენებლოდ შეზღუდული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა დაკმაყოფილება განხორციელდება საპროექტო არეალში არსებული სხვა მიწის ნაკვეთების გადაგეგმარების საშუალებით; ხოლო, წარმოქმნილი დაურეგისტრირებელი ტერიტორია გამოიყოფა ცალკე საკადასტრო ერთეულად, შემდეგში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრაციის მიზნით.

ა.გ) საპროექტო მიწის ნაკვეთების დაყოფისას, მინიმალურ ფართობად განისაზღვრება 1000 კვ.მ.;

ა.დ) მშენებლობის ნებართვის ეტაპზე უნდა მოეწყოს წყალარინების საინჟინრო ქსელი და დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილ იქნას შესაბამის უწყებასთან შეთანხმებული, საყოფაცხოვრებო წყალარინების (კანალიზაციის) ცენტრალურ ქსელზე დაერთებისა და ექსპლუატაციაში მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი; ასევე, ყველა სახის შენობა-ნაგებობის განთავსება ან/და ექსპლუატაცია უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ მიერთებული იყოს ცენტრალურ სანიაღვრე სისტემასთან.

ა.ე) ღობის მოწყობა უნდა მოხდეს იმგვარად, რომ მისი ყრუ ნაწილი არ აღემატებოდეს გრუნტის ზედაპირიდან 0.4 მეტრს;

ა.ვ) ტერიტორიაზე დაუშვებელია წყლის ჭაბურღილების მოწყობა, რათა დაცულ იქნეს წყლის ბალანსი ლისის ტბის წყალშემკრები აუზის ფარგლებს შიგნით.

ბ) გარდა „A“ არეალისა, სამშენებლოდ განვითარება დასაშვებია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების, ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების შესაბამისად. აგრეთვე დასაშვებია მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანა.“

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

# დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი- რუკა (დანართი №1) მ. 1:10,000




## თბილისი კარგად შეკავშირებული ქალაქი

### მეტი ქალაქი

### მუშაობამი ზონა

### სარევიზიო ზონა

### ტექნიკური მახასიათებლები

### პირობითი აღნიშვნები

ზონირება

## თბილისი მწვანე ქალაქი

## თბილისი კომპაქტური ქალაქი

## პოლიცენტრული განვითარება


ლეგენდა
შემოთავაზებული ლანდშაფტურ სარეკრეაციო
შემოთავაზებული რეკრეაციული ზონა
შემოთავაზებული რეკრეაციული ზონა-1
შემოთავაზებული რეკრეაციული ზონა-2
შემოთავაზებული რეკრეაციული ზონა-3
შემოთავაზებული სატყეო ზონა
არსებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ)
არსებული სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1)
არსებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)
არსებული სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3)
არსებული სატყეო
ურბანული გამწვანება (შიდა კვარტალური)
1:30,000

# მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ




მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო
განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად
გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ
ფუნქციური ზონები
ლეგენდა
ჰიდროლოგია
ლანდშაფტურ სარეკრეაციო
რეკრეაციული ზონა
რეკრეაციული ზონა-1
რეკრეაციული ზონა-2
რეკრეაციული ზონა-3
საცხოვრებელი ზონა
საცხოვრებელი ზონა-1
საცხოვრებელი ზონა-2
საცხოვრებელი ზონა-3
საცხოვრებელი ზონა-4
საცხოვრებელი ზონა-5
საცხოვრებელი ზონა-6
სამრეწველო ზონა-1
სამრეწველო ზონა-2
სანიტარული ზონა
სასოფლო სამეურნეო ზონა
სატრანსპორტო ზონა-1
სატრანსპორტო ზონა-2
სატყეო ზონა
საზოგადოებრივ საქმიანი ზონა
საზოგადოებრივ საქმიანი ზონა-1
საზოგადოებრივ საქმიანი ზონა-2
საზოგადოებრივ საქმიანი ზონა-3
სპეციალური ზონა-1
სპეციალური ზონა-2
სპეციალური ზონა-3
1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
1:30,000

**საკითხი 1**

# ფუნქციური ზონირების ცვლილების მოთხოვნა

**ადგილმდებარეობა**



დაინტერესებული პირი: სსიპ ქონების მართვის სააგენტო

დამკვეთის ინფორმაცია: სსიპ ქონების მართვის სააგენტო

მისამართი: ქალაქ თბილისში, თემქა, IV მ/რ, კორპუსი N7-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, თემქის დასახლება, IV მიკრო/რაიონი, ნაკვეთ N07/028; ქალაქი თბილისი, თემქის დასახლება, IV მ/რ; ქალაქი თბილისი, თემქის დასახლება, IV კვ, N12 საქვაბეს მიმდებარედ

საკადასტრო კოდი: N01.12.03.007.073; 01.12.03.007.028; 01.12.03.007.609, 01.12.03.007.016; 01.12.03.008.003

მიზნობრიობა: განკარგვა

http://maps.tbilisi.gov.ge/#/C=44.7990377-41.7762641@Z=18

განცხადების ნომერი : N 01220982557-67

**ფუნქციური ზონირება 2014-2018**



**არსებული ზონირება**



**მოთხოვნილი ზონირება**



მოთხოვნის ტექსტი: საცხოვრებელი ზონით (სზ), სპეციალური ზონა-1 (სპეცზ-1) და სამრეწველო ზონა-1 (ს-1)-ის საცხოვრებელი ზონა-6 (სზ-6)-ით ცვლილება
ცვლილების საერთო ფართობი: 8600 კვ.მ.
2014-2018 წლის გენერალური გეგმის ფუნქციური ზონირების რუკით ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა (სზ)

**საკითხი 1**

# ზონირების ბალანსი

| არსებული ზონირება | მოთხოვნილი ზონირება |
| --- | --- |
| **სამრეწველო ზონა-1** (ს-1) (8352კვ.მ) | **საცხოვრებელი ზონა-6** (სზ-6) (8600კვ.მ) |
| **საცხოვრებელი ზონა (სზ)** (247კვ.მ) | |
| **სპეციალური ზონა-1** (სპეცზ-1) (1კვ.მ) | |

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიცია:** 2022 წლის 12 აპრილის N01221023853 წერილის მიხედვით სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანებული არეალების ფენის მოხსნა.

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიცია:** თანხმობა

**საკითხი 1**

# გამწვანების თემატური რუკა

**არსებული ზონირება**



**მოთხოვნილი ზონირება**



# ფუნქციური ზონირების ცვლილების მოთხოვნა

**საკითხი 2**

**ადგილმდებარეობა**



დაინტერესებული პირი: მთვარისა მჭედლიძე-კვირიაშვილი

დამკვეთის ინფორმაცია: დიმიტრი მამუკაშვილი; არტემ მამუკაშვილი; ნათელა მამუკაშვილი

მისამართი: ქალაქი თბილისი, დაბა წყნეთი, არსენას ქუჩა N 9-ის მიმდებარედ

საკადასტრო კოდი : N01.20.01.020.048-ის მიმდებარე ტერიტორია

მიზნობრიობა: რეგისტრაციაზე არსებული სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) მოხსნა

http://maps.tbilisi.gov.ge/?orgId=1&objId=157669&lrId=10880#/C=44.7003270-41.6986116@Z=20

განცხადების ნომერი : N01213641947-67

**ფუნქციური ზონირება 2014-2018**



**არსებული ზონირება**



**მოთხოვნილი ზონირება**



მოთხოვნის ტექსტი: სატრანსპორტო ზონა-1 (ტზ-1)-ის ცვლილება საცხოვრებელი ზონა-1 (სზ-1)-ით

ცვლილების საერთო ფართობი: 9 კვ.მ.

2014-2018 წლის გენერალური გეგმის ფუნქციური ზონირების რუკით ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა-1 (სზ-1)

საკითხი 2

# ზონირების ბალანსი

| არსებული ზონირება | მოთხოვნილი ზონირება |
|---|---|
| **სატრანსპორტო ზონა-1** (ტზ-1) (9კვ.მ) | **საცხოვრებელი ზონა-1** (სზ-1) (9კვ.მ) |

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიცია:** 2022 წლის 18 აპრილის N 01221081850 წერილის მიხედვით განმცხადებლის მიერ წარმოდგენილია სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა და შეთანხმების წერილები (16-0122101216, 11/04/2022; MIA 5 22 00947529, 11/04/2022). სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს ფუნქციური ზონის ნაწილობრივ ცვლილებას, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმებას მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელზეც ზემოაღნიშნული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის მიხედვით არ არის გათვალისწინებული საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა, ხოლო საპროექტო მონაკვეთის დარჩენილ ნაწილში სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) დარჩეს უცვლელი.

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიცია:** თანხმობა

## საკითხი 3

# ფუნქციური ზონირების ცვლილების მოთხოვნა

**ადგილმდებარეობა**



დაინტერესებული პირი: სერგო გიორგაია

დამკვეთის ინფორმაცია: ბ.მ.ამხანაგობა "ელენე"

მისამართი: ქალაქი თბილისი, დასახლება ვარკეთილი, მასივი III, კვარტალი VII, კორპუსი 12

საკადასტრო კოდი : N01.19.20.024.030 და მიმდებარე დაურეგისტრირებელი ტერიტორია

მიზნობრიობა: არსებული ავარიული შენობის დემონტაჟი და მისი ჩანაცვლება ახალი , თანამედროვე სტანდარტების კორპუსით

http://maps.tbilisi.gov.ge/?orgId=1&objId=188806&lrId=10880#/C=44.8732965-41.6886331@Z=21

განცხადების ნომერი : N 01221113671-67 (0122117422-67)

**ფუნქციური ზონირება 2014-2018**



**არსებული ზონირება**



**მოთხოვნილი ზონირება**



მოთხოვნის ტექსტი: საცხოვრებელი ზონა-6 (სზ-6), სატრანსპორტო ზონა-1 (ტზ-1)-ის ცვლილება საცხოვრებელი ზონა-6 (სზ-6), სატრანსპორტო ზონა-1 (ტზ-1)-ით

ცვლილების საერთო ფართობი: 257 კვ.მ.

2014-2018 წლის გენერალური გეგმის ფუნქციური ზონირების რუკით ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა-6 (სზ-6), სატრანსპორტო ზონა-1 (ტზ-1)

# ზონირების ბალანსი

| არსებული ზონირება | მოთხოვნილი ზონირება |
| --- | --- |
| **სატრანსპორტო ზონა-1** (ტზ-1) (**223**კვ.მ) | **საცხოვრებელი ზონა-6** (სზ-6) (**223**კვ.მ) |
| **საცხოვრებელი ზონა-6** (სზ-6) (**34**კვ.მ) | **სატრანსპორტო ზონა-1** (ტზ-1) (**34**კვ.მ) |

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიცია:** თანხმობა (2022 წლის 27 აპრილის N01221172839 წერილი)

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიცია :** თანხმობა (2022 წლის 27 აპრილის N01221171970 წერილი)

# გამწვანების თემატური რუკა

არსებული ზონირება



მოთხოვნილი ზონირება



# ფუნქციური ზონირების ცვლილების მოთხოვნა

**საკითხი** 4

**ადგილმდებარეობა**



დაინტერესებული პირი: შმაგი სხილაძე

მესაკუთრე: შმაგი სხილაძე

მისამართი: ქალაქი თბილისი, ევგენი ღვალაძის ქუჩა N 1ა

საკადასტრო კოდი: N01.11.17.003.066, N01.11.17.003.119-ის ნაწილი და მიმდებარე დაურეგისტრირებელი ტერიტორია

მიზნობრიობა: ინიდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის

http://maps.tbilisi.gov.ge/?orgId=1&objId=190791&lrId=10880#/C=44.8205336-41.7854301@Z=21

განცხადების ნომერი: N01221231282-67

**ფუნქციური ზონირება 2014-2018**



**არსებული ზონირება**



**მოთხოვნილი ზონირება**



მოთხოვნის ტექსტი: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა-1 (სსზ-1)-ის ცვლილება საცხოვრებელი ზონა-2 (სზ-2)-ით

ცვლილების საერთო ფართობი: 450 კვ.მ.

2014-2018 წლის გენერალური გეგმის ფუნქციური ზონირების რუკით ვრცელდებოდა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა-1 (სსზ-1), საცხოვრებელი ზონა (სზ)

**საკითხი 4**

# ზონირების ბალანსი

| არსებული ზონირება | მოთხოვნილი ზონირება |
| --- | --- |
| **საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა-1** (სსზ-1) (**450**კვ.მ) | **საცხოვრებელი ზონა-2** (სზ-2) (**450**კვ.მ) |

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიცია:** თანხმობა.

სააგენტოს ინიციატივით, ცვლილება ხორციელდება ასევე, N01.11.17.003.119 საკადასტრო ერთეულის ნაწილსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე.

**საკითხი** 5

# ფუნქციური ზონირების ცვლილების მოთხოვნა

**ადგილმდებარეობა**



დაინტერესებული პირი: მარიამ გიორგაძე

დამკვეთის ინფორმაცია: ცაცა მელაშვილი

მესაკუთრე: სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი

მისამართი: ქალაქი თბილისი, გზატკეცილი წყნეთი, ჩიხი I, N 2-ის მიმდებარედ

საკადასტრო კოდი: N01.14.07.004.081-ის ნაწილი

მიზნობრიობა: პავილიონის განთავსება

http://maps.tbilisi.gov.ge/?orgId=1&objId=179326&lrId=10880#/C=44.7364351-41.7074924@Z=21

განცხადების ნომერი: N01220893485-67

**ფუნქციური ზონირება 2014-2018**



**არსებული ზონირება**



**მოთხოვნილი ზონირება**



მოთხოვნის ტექსტი: სარეკრეაციო ზონა-1 (რზ-1) ის ცვლილება სარეკრეაციო ზონა-2 (რზ-2)-ით;
ცვლილების საერთო ფართობი: 285 კვ.მ.
2014-2018 წლის გენერალური გეგმის ფუნქციური ზონირების რუკით ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა-2 (რზ-2)

# ზონირების ბალანსი

| არსებული ზონირება | მოთხოვნილი ზონირება |
|---|---|
| **სარეკრეაციო ზონა-1** (რზ-1) (**285**კვ.მ) | **სარეკრეაციო ზონა-2** (რზ-2) (**285**კვ.მ) |

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიცია:** თანხმობა (2022 წლის 8 აპრილის N01220984070 წერილი)

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს პოზიცია:** თანხმობა (2022 წლის 29 აპრილის N61-01221193628 წერილი)

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიცია:** შესაძლებლად მიაჩნია ფუნქციური ზონის ცვლილება **პავილიონის განთავსების პირობით;**

**საკითხი 5**

# გამწვანების თემატური რუკა

**არსებული ზონირება**



**მოთხოვნილი ზონირება**



## საკითხი 6

# ფუნქციური ზონირების ცვლილების მოთხოვნა

**ადგილმდებარეობა**



დაინტერესებული პირი: ვახტანგ ედილაშვილი

დამკვეთის ინფორმაცია: ვახტანგ ედილაშვილი

მესაკუთრე: შპს „ავიასაწვავსერვისი“

მისამართი: ქალაქი თბილისი, ალექსი შიუკაშვილის ქუჩა N 35

საკადასტრო კოდი : N01.19.26.004.004

მიზნობრიობა: საწვავის შესანახი ბაზის (ნავთოპროდუქტების ბაზა) განთავსება.

http://maps.tbilisi.gov.ge/?orgId=1&objId=182427&lrId=10880#/C=44.9594659-41.6850845@Z=18

განცხადების ნომერი: N0122098420-67

**ფუნქციური ზონირება 2014-2018**



**არსებული ზონირება**



**მოთხოვნილი ზონირება**



მოთხოვნის ტექსტი: სარეკრეაციო ზონა-2 (რზ-2), სპეციალური ზონა-1 (სპეცზ-1), სატრანსპორტო ზონა-1 (ტზ-1), სამრეწველო ზონა-1 (ს-1)-ის ცვლილება სამრეწველო ზონა-2 (ს-2)-ით;

ცვლილების საერთო ფართობი: 81091 კვ.მ.

2014-2018 წლის გენერალური გეგმის ფუნქციური ზონირების რუკით ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა-1 (რზ-1), სპეციალური ზონა-1 (სპეცზ-1), სამრეწველო ზონა-2 (ს-2) და სატრანსპორტო ზონა-1 (ტზ-1)

# ზონირების ბალანსი

| არსებული ზონირება | მოთხოვნილი ზონირება |
|---|---|
| **სარეკრეაციო ზონა-2** (რზ-2) (**6904**კვ.მ) | **სამრეწველო ზონა-2** (ს-2) (**81091**კვ.მ) |
| **სპეციალური ზონა-1** (სპეცზ-1) (**64629**კვ.მ) | |
| **სატრანსპორტო ზონა-1** (ტზ-1) (**7465**კვ.მ) | |
| **სამრეწველო ზონა-1** (ს-1) (**2093**კვ.მ) | |

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიცია:** 2022 წლის 19 აპრილის N01221092663 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული ფენა.

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიცია: (თანხმობა)** სააგენტოს 2022 წლის 20 აპრილის N01221103991 წერილის მიხედვით ვინაიდან, საპროექტო მიწის ნაკვეთზე გავრცელებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) არ წარმოადგენს მისასვლელ გზას მიმდებარედ რეგისტრირებული საკადასტრო ერთეულებისთვის, მისი გაუქმება არ მოახდენს უარყოფით ზეგავლენას განსახილველ ტერიტორიაზე არსებული სატრანსპორტო საჭიროებებისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სამომავლო განვითარების კუთხით.

**საკითხი 6**

# გამწვანების თემატური რუკა

**არსებული ზონირება**



**მოთხოვნილი ზონირება**



**საკითხი** 7

## ფუნქციური ზონირების ცვლილების მოთხოვნა

**ადგილმდებარეობა**



- დაინტერესებული პირი: საბურთალოს რაიონის გამგეობა
- დამკვეთის ინფორმაცია: საბურთალოს რაიონის გამგეობა
- მესაკუთრე: თვითმმართველი
- მისამართი: ქალაქი თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, მე-IV მიკრო\რაიონი
- საკადასტრო კოდი : N01.72.14.043.283-ის მიმდებარედ
- მიზნობრიობა: საავტომობილო გზის კაპიტალურად მოწყობა
- http://maps.tbilisi.gov.ge/#/C=44.7382746-41.7909385@Z=18
- განცხადების ნომერი : N 31-01220543033

**ფუნქციური ზონირება 2014-2018**



**არსებული ზონირება**



**მოთხოვნილი ზონირება**



მოთხოვნის ტექსტი: საცხოვრებელი ზონა-6 (სზ-6)-ის ცვლილება სატრანსპორტო ზონა-1 (ტზ-1)-ით
ცვლილების საერთო ფართობი: 1460 კვ.მ.
2014-2018 წლის გენერალური გეგმის ფუნქციური ზონირების რუკით ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა-6 (სზ-6), სატრანსპორტო ზონა-1 (ტზ-1)

**საკითხი 7**

ზონირების ბალანსი

| არსებული ზონირება | მოთხოვნილი ზონირება |
|---|---|
| **საცხოვრებელი ზონა-6** (სზ-6) (1460კვ.მ) | **სატრანსპორტო ზონა-1** (ტზ-1) (1460კვ.მ) |

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სსიპ ქონების მართვის სააგენტო:** 2022 წლის 20 აპრილის N61-01221103294 წერილის მიხედვით, ქონების მართვის სააგენტო, არ არის წინააღმდეგი, ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის, IVმ/რ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (01.72.14.043.283 საკადასტრო კოდის მიმდებარედ) გავრცელებული ფუნქციური ზონა, საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), შეიცვალოს სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1).

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიცია:** 2022 წლის 4 მარტის N16-01220631229 წერილის მიხედვით საპროექტო მონაკვეთზე მოთხოვნილი ცვლილებით იქმნება გზათა ქსელი, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გავრცელება ხდება გზის მონაკვეთზე, რომელსაც ფაქტობრივად გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დიდი დიღომის დასახლებაში, მე-IV მიკრო\რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.043.283) მიმდებარე ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია;

საკითხი 8

# ფუნქციური ზონირების ცვლილების მოთხოვნა

**ადგილმდებარეობა**



დაინტერესებული პირი: დავით ხიზანიშვილი

დამკვეთის ინფორმაცია: გიორგი თოთაძე

მესაკუთრე: შპს "GMT GROUP"

მისამართი: ქალაქი თბილისი, ალექსანდრე (საშა) იოსელიანის ქუჩა N63; ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N22ა

საკადასტრო კოდი : N01.14.05.008.398-ის ნაწილი

მიზნობრიობა: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა

http://maps.tbilisi.gov.ge/?orgId=1&objId=171685&lrId=10880#/C=44.7095763-41.7188785@Z=20

განცხადების ნომერი : N 01220632064-67

**ფუნქციური ზონირება 2014-2018**



**არსებული ზონირება**



**მოთხოვნილი ზონირება**



მოთხოვნის ტექსტი: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა-1 (სსზ-1) ცვლილება საცხოვრებელი ზონა-3 (სზ-3)-ით
ცვლილების საერთო ფართობი: 165 კვ.მ.
2014-2018 წლის გენერალური გეგმის ფუნქციური ზონირების რუკით ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა-3 (სზ-3), სარეკრეაციო ზონა-2 (რზ-2)

# ზონირების ბალანსი

| არსებული ზონირება | მოთხოვნილი ზონირება |
|---|---|
| **საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა-1** (სსზ-1) (**165**კვ.მ) | **საცხოვრებელი ზონა-3** (სზ-3) (**165**კვ.მ) |

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიცია :** შესაძლებლად მიაჩნია ფუნქციური ზონის ცვლილება

**საკითხი 8**

## გამწვანების თემატური რუკა

**არსებული ზონირება**



**მოთხოვნილი ზონირება**



## ფუნქციური ზონირების ცვლილების მოთხოვნა

**საკითხი 9**

**ადგილმდებარეობა**



დაინტერესებული პირი: ომარ ჯაფარიძე

დამკვეთის ინფორმაცია: კახაბერ ნადირაშვილი

მესაკუთრე: შპს „ისთეით დეველოპმენტი“, შპს „ქართული ვაზისა და ღვინის კომპანია“

მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N215 და N217

საკადასტრო კოდი: N01.72.14.007.711, N01.72.14.007.710 და მიმდებარე დაურეგისტრირებელი ტერიტორია

მიზნობრიობა: მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობის მიზნით

http://maps.tbilisi.gov.ge/?orgId=1&objId=166539&lrId=10900#/C=44.7727535-41.8194281@Z=18

განცხადების ნომერი: N0121320218-67 (N012204353-67; სამსახურებრივი ბარათი: N16-01221111660)

**ფუნქციური ზონირება 2014-2018**



**არსებული ზონირება**



**მოთხოვნილი ზონირება**



მოთხოვნის ტექსტი: დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილება;
ცვლილების საერთო ფართობი: 23824 კვ.მ.
2014-2018 წლის გენერალური გეგმის ფუნქციური ზონირების რუკით ვრცელდებოდა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა-2 (სსზ-2), სატრანსპორტო ზონა-1 (ტზ-1), სარეკრეაციო ზონა-2 (რზ-2)

# ზონირების ბალანსი

| არსებული ზონირება | მოთხოვნილი ზონირება |
|---|---|
| **საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა-2** (სსზ-2) (**23824**კვ.მ) | **საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა-1** (სსზ-1) (**11704**კვ.მ) |
| | **საცხოვრებელი ზონა-5** (სზ-5) (**12120**კვ.მ) |

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიცია:** თანხმობა.

ცვლილებით გამოწვეული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, სააგენტოს ინიციატივით, განაშენიანების რეგულირების გეგმის მიღმა არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხორციელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) და საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება.

**საკითხი 9**

# გამწვანების თემატური რუკა

**არსებული ზონირება**



**მოთხოვნილი ზონირება**



## საკითხი 10

# ფუნქციური ზონირების ცვლილების მოთხოვნა

**ადგილმდებარეობა**



დაინტერესებული პირი: დავით ბურჭულაძე

დამკვეთის ინფორმაცია: დავით ბურჭულაძე

მისამართი: ქალაქი თბილისი, სოფელი ტაბახმელა; სოფელი წავკისი

საკადასტრო კოდი : N 81.02.21.273, 81.02.01.368, 81.02.01.897

მიზნობრიობა: დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილება

http://maps.tbilisi.gov.ge/?orgId=1&objId=176639&lrId=10900#/C=44.7282551-41.6627778@Z=18

განცხადების ნომერი : N01213062167-67 (01220103477-67; 012205110-67; 01220812133-67) (სამსახურებრივი ბარათი: N16-012211198)

**ფუნქციური ზონირება 2014-2018**



**არსებული ზონირება**



**მოთხოვნილი ზონირება**



მოთხოვნის ტექსტი: დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილება;
ცვლილების საერთო ფართობი: 13812 კვ.მ.
2014-2018 წლის გენერალური გეგმის ფუნქციური ზონირების რუკით ვრცელდებოდა სასოფლო-სამეურნეო ზონა (სოფზ)

**საკითხი 10**

# ზონირების ბალანსი

| არსებული ზონირება | მოთხოვნილი ზონირება |
|---|---|
| **სატყეო ზონა** (სატყეო) (3კვ.მ) | **საცხოვრებელი ზონა-1** (სზ-1) (13381კვ.მ) |
| **სასოფლო-სამეურნეო ზონა** (სოფზ) (13809კვ.მ) | **სატრანსპორტო ზონა-1** (ტზ-1) (431კვ.მ) |

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიცია:** შესაძლებლად მიაჩნია ფუნქციური ზონის ცვლილება

# გამწვანების თემატური რუკა

არსებული ზონირება



მოთხოვნილი ზონირება



## საკითხი 11

# გამწვანების თემატური რუკა

### ადგილმდებარეობა



- დაინტერესებული პირი: ვაჟა მანაშეროვი
- დამკვეთის ინფორმაცია: ვაჟა მანაშეროვი
- მისამართი: ქალაქი თბილისი, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N 262ბ
- საკადასტრო კოდი : N72.13.33.805
- მიზნობრიობა: ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.
- http://maps.tbilisi.gov.ge/?orgId=1&objId=163475&lrId=10900#/C=44.8649966-41.8114345@Z=18
- განცხადების ნომერი : N01220323237-67 (16-0122111743)

### ფუნქციური ზონირება 2014-2018



### არსებული ზონირება



### მოთხოვნილი ზონირება



მოთხოვნის ტექსტი: დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა-3 (რზ-3) ცვლილება.

ცვლილების საერთო ფართობი: 36441 კვ.მ.

2014-2018 წლის გენერალური გეგმის ფუნქციური ზონირების რუკით ვრცელდებოდა სამრეწველო ზონა-1 (ს-1), სარეკრეაციო ზონა-3 (რზ-3)

**საკითხი 11**

# ზონირების ბალანსი

| არსებული ზონირება | მოთხოვნილი ზონირება |
|---|---|
| **არსებული სარეკრეაციო ზონა-3** (რზ-3) (36441კვ.მ) | **სამრეწველო ზონა-1** (ს-1) (36441კვ.მ) |

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიცია:** შესაძლებლად მიაჩნია ფუნქციური ზონის ცვლილება

**საკითხი 11**

## ფუნქციური ზონირების რუკა

არსებული ზონირებისა და გამწვანების ფენა



არსებული ფუნქციური ზონა რჩება უცვლელი



# ფუნქციური ზონირების ცვლილების მოთხოვნა

**საკითხი** 12

**ადგილმდებარეობა**



დაინტერესებული პირი: გიორგი ქევანიშვილი

დამკვეთის ინფორმაცია: ლაშა იორდანიშვილი

მისამართი: ქალაქ თბილისში, შალვა გოგიძის ქუჩა N9, ჩაჩავას ქუჩა N2-4-6-8-10 (ნაკვ. 4/60), აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N102, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N100, 100ა მიმდებარედ

საკადასტრო კოდი : N01.13.02.004.121, 01.13.02.004.154, 01.13.02.004.020 01.13.02.004.169 და მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორია

მიზნობრიობა: ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

http://maps.tbilisi.gov.ge/?orgId=1&objId=169928&lrId=10900#/C=44.7798838-41.7785490@Z=19

განცხადების ნომერი: N 01220553214-67 (16-0122111756 )

**ფუნქციური ზონირება 2014-2018**



**არსებული ზონირება**



**მოთხოვნილი ზონირება**



მოთხოვნის ტექსტი: დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილება;
ცვლილების საერთო ფართობი: 10136 კვ.მ.
2014-2018 წლის გენერალური გეგმის ფუნქციური ზონირების რუკით ვრცელდებოდა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა-1 (სსზ-1), სამრეწველო ზონა-1 (ს-1), სატრანსპორტო ზონა-1 (ტზ-1)

# ზონირების ბალანსი

| არსებული ზონირება | მოთხოვნილი ზონირება |
|---|---|
| **საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა** (სსზ) (**1448**კვ.მ) | **საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა-1** (სსზ-1) (**10130**კვ.მ) |
| **სამრეწველო ზონა-1** (ს-1) (**8688**კვ.მ) | **სატრანსპორტო ზონა-1** (ტზ-1) (**6**კვ.მ) |

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიცია:** შესაძლებლად მიაჩნია ფუნქციური ზონის ცვლილება

ცვლილებით გამოწვეული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, სააგენტოს ინიციატივით, განაშენიანების რეგულირების გეგმის მიღმა არსებულ დაურეგისტრირებელ საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის (სსზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება;

**საკითხი** 13

# ფუნქციური ზონირების ცვლილების მოთხოვნა

**ადგილმდებარეობა**



დაინტერესებული პირი: ზაზა ბასილაძე

დამკვეთის ინფორმაცია: ქრისტინა ფაიქიძე

მისამართი: ქალაქი თბილისი, ქვემო ლისი

საკადასტრო კოდი : N72.16.21.758, N72.16.21.759, N72.16.21.750, N72.16.21.751, N72.16.21.752, N72.16.21.753, N72.16.21.754, N72.16.21.756, N72.16.21.757, N72.16.21.749, N72.16.21.755)

მიზნობრიობა: ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად

http://maps.tbilisi.gov.ge/?orgId=1&objId=174830&lrId=10900#/C=44.7210234-41.7451929@Z=18

განცხადების ნომერი : N012207519-67 (16-01221111849)

**ფუნქციური ზონირება 2014-2018**



**არსებული ზონირება**



**მოთხოვნილი ზონირება**



მოთხოვნის ტექსტი: დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილება;
ცვლილების საერთო ფართობი: 4328 კვ.მ.
2014-2018 წლის გენერალური გეგმის ფუნქციური ზონირების რუკით ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა-2 (სზ-2), სატრანსპორტო ზონა-1 (ტზ-1)

**საკითხი 13**

# ზონირების ბალანსი

| არსებული ზონირება | მოთხოვნილი ზონირება |
|---|---|
| **სარეკრეაციო ზონა (**რზ) (**4328**კვ.მ) | **საცხოვრებელი ზონა-2**(სზ-2) (**4328**კვ.მ) |

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიცია:** შესაძლებლად მიაჩნია ფუნქციური ზონის ცვლილება

**საკითხი** 13

# გამწვანების თემატური რუკა

**არსებული ზონირება**



**მოთხოვნილი ზონირება**



## ფუნქციური ზონირების ცვლილების მოთხოვნა

**საკითხი 14**

**ადგილმდებარეობა**



დაინტერესებული პირი: მარიამ ეფრემიძე

დამკვეთის ინფორმაცია: კახა ღიბრაძე

მისამართი: ქალაქი თბილისი, კათოლიკოსი აბრაჰამ I-ის ქუჩა, N 3-3ა-5-7-9-9ა-11

საკადასტრო კოდი : (საკადასტრო კოდები: N01.72.14.014.207; N01.72.14.014.649; N01.72.14.014.638; N01.72.14.014.879; N01.72.14.014.250; N01.72.14.014 631; N01.72.14.014.735; N01.72.14.014.968) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე

მიზნობრიობა: ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად

http://maps.tbilisi.gov.ge/?orgId=1&objId=156495&lrId=10900#/C=44.7643688-41.7947554@Z=17

განცხადების ნომერი : N0121361993-67 (16-01221113690)

**ფუნქციური ზონირება 2014-2018**



**არსებული ზონირება**



**მოთხოვნილი ზონირება**



მოთხოვნის ტექსტი: დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილება;
ცვლილების საერთო ფართობი: 1167 კვ.მ.
2014-2018 წლის გენერალური გეგმის ფუნქციური ზონირების რუკით ვრცელდებოდა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა-2 (სსზ-2)

**საკითხი 14**

# ზონირების ბალანსი

| არსებული ზონირება | მოთხოვნილი ზონირება |
|---|---|
| **საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა-2** (სსზ-2) (**1167**კვ.მ) | **სატრანსპორტო ზონა-1** (ტზ-1) (**1167**კვ.მ) |

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიცია:** შესაძლებლად მიაჩნია ფუნქციური ზონის ცვლილება

# ფუნქციური ზონირების ცვლილების მოთხოვნა

**საკითხი** 15

**ადგილმდებარეობა**



დაინტერესებული პირი: სსიპ ქონების მართვის სააგენტო

მესაკუთრე: სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი

მისამართი: ქალაქი თბილისი, ოქროყანა

საკადასტრო კოდი : N01.15.01.002.013 და N01.15.01.002.014 -ის ნაწილი

მიზნობრიობა: პრივატიზება

http://maps.tbilisi.gov.ge/?orgId=1&objId=183281&lrId=10880#/C=44.7737695-41.6998460@Z=22

განცხადების ნომერი: N01221014022-67

**ფუნქციური ზონირება 2014-2018**



**არსებული ზონირება**



**მოთხოვნილი ზონირება**



მოთხოვნის ტექსტი: სატყეო ზონის (სატყეო) ცვლილება საცხოვრებელი ზონა-2 (სზ-2)-ით

ცვლილების საერთო ფართობი: 412 კვ.მ.

2014-2018 წლის გენერალური გეგმის ფუნქციური ზონირების რუკით ვრცელდებოდა ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ)

## ზონირების ბალანსი

| არსებული ზონირება | მოთხოვნილი ზონირება |
| --- | --- |
| **სატყეო ზონა**(სატყეო) (**412**კვ.მ) | **საცხოვრებელი ზონა-2** (სზ-2) (**412**კვ.მ) |

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიცია:** თანხმობა (2022 წლის 27 აპრილის N01221173078 წერილი)

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიცია:** შესაძლებლად მიაჩნია ფუნქციური ზონის ცვლილება

# გამწვანების თემატური რუკა

**არსებული ზონირება**



**მოთხოვნილი ზონირება**



**საკითხი 16**

# ფუნქციური ზონირების ცვლილების მოთხოვნა

**ადგილმდებარეობა**



დაინტერესებული პირი: გივი კახაბრიშვილი

მესაკუთრე: შპს შპს პლატინუმ ისანი (ს/კ: 405290983)

მისამართი: ქალაქი თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩა N 130

საკადასტრო კოდი: N01.17.11.029.131-ის ნაწილი

მიზნობრიობა: ძველი ზონის დაბრუნება

http://maps.tbilisi.gov.ge/?orgId=1&objId=188021&lrId=10880#/C=44.8663072-41.6726263@Z=20

განცხადების ნომერი: N012211247-67

**ფუნქციური ზონირება 2014-2018**



**არსებული ზონირება**



**მოთხოვნილი ზონირება**



მოთხოვნის ტექსტი: სამრეწველო ზონა-1 (სზ-1)-ის ცვლილება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა-1 (სსზ-1)-ით
ცვლილების საერთო ფართობი: 1732 კვ.მ.
2014-2018 წლის გენერალური გეგმის ფუნქციური ზონირების რუკით ვრცელდებოდა სამრეწველო ზონა-1 (სზ-1), სატრანსპორტო ზონა-1 (ტზ-1), საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა-1 (სსზ-1)

**საკითხი 16**

# ზონირების ბალანსი

| არსებული ზონირება | მოთხოვნილი ზონირება |
|---|---|
| **სამრეწველო ზონა-1** (სზ-1) (1732კვ.მ) | **საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა-1** (სსზ-1) (1732კვ.მ) |

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიცია:** თანხმობა.